გადაწყვეტილება

N გ-24-18/389
12/09/2024

389-გ-24-1-4-202409121413

შპს „გაერთიანებული ტელეკომისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის შესახებ

ავტორიზებული პირი: შპს „გაერთიანებული ტელეკომი“ (ს/კ 405401337)

სამართალდარღვევა: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევა

წარმოების დაწყების საფუძველი: კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N 24-10-1666, 30.08.2024)

კომისიის სხდომის თარიღი: 2024 წლის 12 სექტემბერი, 15:00 საათი.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის (N 24-10-1666, 30.08.2024) საფუძველზე კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხის განხილვის მიზნით.

2. კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის (N 24-10-1666, 30.08.2024) თანახმად, შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილება 2023 წლის 11 სექტემბერს, კერძოდ, შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ 100% წილის მფლობელმა- შპს „ტელეკომ 1“-მა (ს/კ 405374063) თავისი კუთვნილი 100%-იანი წილიდან 50% გაასხვისა შპს “გრინ ნეთვორქსის” (ს/კ 440889200) სასარგებლოდ. აღნიშნული ტრანზაქციის განსახორციელებლად კომისიისგან წინასწარი თანხმობა მიღებული აქვს კომისიის 2023 წლის პირველი ივნისის Nგ-23-11/255 გადაწყვეტილებით.
3. შპს „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ განხორციელებული ცვლილების შესახებ არ აცნობა კომისიას. წილის მფლობელთა ცვლილების თაობაზე კომპანიას ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში უნდა ეცნობებინა კომისიისთვის.
4. საკითხის განსახილველად კომისიის სხდომა დაინიშნა 2024 წლის 12 სექტემბერსს, რის შესახებაც კომპანიას ეცნობა წერილობითი შეტყობინებით (N გ-24-03/1918, 09/09/2024), რომელიც ჩაბარდა 2024 წლის 10 სექტემბერს. მას ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98–ე და 99–ე მუხლებით გათვალისწინებული

მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლების თაობაზე.

5. კომისიის 2024 წლის 12 სექტემბრის სხდომას არ ესწრებოდა შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ წარმომადგენელი. ვინაიდან, კომისიის მიერ შესრულებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილით მისთვის დაკისრებული ვალდებულება - დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის თაობაზე, კომისიამ საკითხი განიხილა შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ წარმომადგენლის დასწრების გარეშე.

II. მარეგულირებელი კანონმდებლობა

6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობის ან/და რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.
7. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო პირობების, აგრეთვე ამოწურვადი რესურსით სარგებლობის პირობების დაცვის ზედამხედველობა და მათი დარღვევის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.
9. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები. ამავე პუნქტის „გ“ ქეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია, თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, ასევე წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.
10. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და

გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში დენადი ხასიათის დარღვევის აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარისა.

11. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია კომისიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება ან მინიჭებული უფლებამოსილება - გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი.

III. სამოტივაციო ნაწილი

1. შესწავლილი მტკიცებულებები

12. კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი თანდართული დოკუმენტაციით (N 24-10-1666, 30.08.2024);
13. კომისიის შეტყობინება შპს „გაერთიანებულ ტელეკომს" სხდომაზე მოწვევის თაობაზე და აღნიშნული წერილის ჩაბარების დასტური;
14. შპს „გაერთიანებული ტელეკომის" შესახებ მონაცემები კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან და საჯარო რეესტრის სამეწარმეო და არასამეწარმეო პირთა რეესტრიდან (B21057740, 10/06/2021 და B23127612, 11/09/2023).

2. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

15. შპს „გაერთიანებული ტელეკომი" (ს/კ405401337) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირია.

    მტკიცებულება: კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემები.

16. შპს „გაერთიანებული ტელეკომის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში 2023 წლის 11 სექტემბერს განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, შპს „გაერთიანებული ტელეკომის" 100% წილის მფლობელმა- შპს „ტელეკომ 1"-მა (ს/კ 405374063) თავისი კუთვნილი 100%-იანი წილიდან 50% გაასხვისა შპს "გრინ ნეთვორქსის" (ს/კ 440889200) სასარგებლოდ. შპს „გაერთიანებულ ტელეკომს" აღნიშნული ტრანზაქციის განსახორციელებლად კომისიისგან წინასწარი თანხმობა მიღებული აქვს კომისიის 2023 წლის Nგ-23-11/255 გადაწყვეტილებით.

    მტკიცებულება: კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N 24-10-1666, 30.08.2024); მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (B21057740, 10/06/2021 და B23127612, 11/09/2023).

17. შპს „გაერთიანებულმა ტელეკომმა" განხორციელებული ცვლილების შესახებ არ აცნობა კომისიას. წილის მფლობელთა ცვლილების თაობაზე კომპანიას ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში უნდა ეცნობებინა კომისიისთვის.

    მტკიცებულება: კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N 24-10-1666, 30.08.2024)

18. ბოლო ერთი წლის განმავლობაში შპს „გაერთიანებულ ტელეკომს“ არ დაკისრებია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მსგავსი/იდენტური დარღვევისთვის.

მტკიცებულება: კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემები.

3. სამართლებრივი შეფასება

19. როგორც აღინიშნა, კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ხოლო, თავის მხრივ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები. ასევე, კანონმდებლობის თანახმად, ავტორიზებული პირია ვალდებული წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.
20. შესაბამისად, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ კომისიის მიერ კანონით განსაზღვრული ამოცანები და ფუნქციები სათანადოდ შესრულდეს, შპს „გაერთიანებული ტელეკომს“ ცვლილების განხორციელებიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოდგინა ინფორმაცია წილის მფლობელთა ცვლილების თაობაზე.

4. პასუხისმგებლობა

21. შპს „გაერთიანებულ ტელეკომს“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილების თაობაზე არ უცნობებია კომისიისთვის, შესაბამისად, კომპანიის მიერ დარღვეულ იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები. ზემოაღნიშნული დარღვევები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის სანქცირების საფუძველია.
22. გამომდინარე იქიდან, რომ შპს „გაერთიანებული ტელეკომის“ მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არც ერთი სახე მსგავსი/ანალოგიური დარღვევისათვის გამოყენებული არ ყოფილა, მას ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უნდა დაეკისროს წერილობითი გაფრთხილება.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, 99-ე მუხლების, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 36-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების, ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, 43-ე და 44-ე მუხლებისა და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად,

გადაწყვიტა:

1. შპს „გაერთიანებულ ტელეკომს“ მიეცეს წერილობითი გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო;

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების ან გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „გაერთიანებული ტელეკომისთვის“ ჩაბარების დღიდან;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „გაერთიანებული ტელეკომისთვის“ ამ გადაწყვეტილების ან ამ გადაწყვეტლების დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) აღნიშნული გადაწყვეტილების ან გადაწყვეტილების დამოწმებული ასლიხ შპს „გაერთიანებული ტელეკომისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა და გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

5. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს (თ.გოშუა) შპს „გაერთიანებული ტელეკომისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ინფორმაციის კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-4 პუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს (ი. ბუთბაია).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი